საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფოჯას უნივერსიტეტის პირველი ერთობლივი R&D საერთაშორისო კონფერენცია - JoRDI

"მრეწველობის დარგების დინამიკა და თანამედროვე ტენდენციები საქართველოსა და ევროკავშირში: საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტში"

2018 წლის 17-19 ოქტომბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი უმასპინძლებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფოჯას უნივერსიტეტის (იტალია) პირველ ერთობლივ R&D საერთაშორისო კონფერენციას "მრეწველობის დარგების დინამიკა და თანამედროვე ტენდენციები საქართველოსა და ევროკავშირში: საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტში".

კონფერენციის მიზანია, თავი მოუყაროს მკვლევრებს, მეცნიერებს, პრაქტიკანტებსა და სტუდენტებს სამეცნიერო დისკუსიაში, რომელიც შეეხება ბიზნესსაქმიანობაში ტექნოლოგიების უფრო აქტიურად გამოყენებასთან დაკავშირებულ მიმდინარე და ახლად წარმოქმნილ კვლევით საკითხებს, პრობლემებს, შეკითხვებს, მიგნებებს, მიღწევებსა და ახალ პერსპექტივებს. კონფერენცია, აგრეთვე, უმასპინძლებს დისკუსიებს, მონაცემთა ანალიზს, ქეისების შესწავლასა და ინდუსტრიულ პრაქტიკებს – წარმოდგენილს კვლევითი ნაშრომების სახით. კონფერენცია იქნება შესანიშნავი შესაძლებლობა, მონაცემებისა და გამოცდილებების გასაზიარებლად, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მკვლევართა პირისპირ შესახვედრად, საერთაშორისო აკადემიური კვლევების ხელშესაწყობად, დისკუსიების გამართვისა და იდეების გაცვლისთვის, ცოდნისა და შედეგების თეორიულად გაზიარებისთვის, საერთაშორისო ჟურნალებში მეცნიერების ნაშრომთა პოპულარიზაციისთვის და მეცნიერთა ინტეგრაციისთვის მსოფილო პროცესებში, ასევე, მომავალი კოლაბორაციისთვის საერთაშორისო პარტნიორების მოსაძიებლად.

კონფერენციაზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- დიდი მონაცემების ანალიზი და საინფორმაციო და საკომუნკაციო ტექნოლოგიები (ICTs);

- ზუსტი სოფლის მეურნეობა;
- საინფორმაციო და საკომუნკაციო ტექნოლოგიები მდგრადი განვითარებისთვის;
- ჯანდაცვის ტექნოლოგიები / ბიოსამედიცინო ინჟინერია;
- ციფრული მარკეტინგი;
- მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი.

სტატიების აბსტრაქტები დაიბეჭდება კონფერენციის კრებულში.

აბსტრაქტის გაფორმების წესი:

- აბსტრაქტი უნდა იყოს შესრულებული ინგლისურ ენაზე (მაქსიმუმ 500 სიტყვა);
- უნდა იყოს ინფორმაციული (ზოგადი იდეებისა და განცხადებების გარეშე);
- უნდა შეიცავდეს სათანადოდ გამოყენებულ ტერმინოლოგიას;
- უნდა იყოს სპეციფიკური (გადმოსცემდეს სტატიის ძირითად შინაარსს);
- უნდა იყოს სწორად სტრუქტურირებული (კვლევის შედეგების შესაბამისად).

აბსტრაქტი უნდა შეიცავდეს:

- სტატიის მიზანს, საგანსა და ობიექტს (უნდა იყოს მითითებული, თუ არაა ნათელი სათაურიდან);
- ჩატარებული კვლევის მეთოდს ან მეთოდოლოგიას (მოიაზრება, რომ თუ მეთოდები და მეთოდოლოგია არის ახალი, აღწერილი იქნება წყაროს მითითებით);
- კვლევის შედეგს;
- კვლევის შედეგების გამოყენების არეალს;
- დასკვნას.

აბსტრაქტის ფორმატი: Pdf A5
ზომები – 148×210 მმ
ორიენტაცია – სიმაღლე
მინდვრები: მარცხენა 20 მმ; მარჯვენა 20 მმ; ზედა 20 მმ; ქვედა 25 მმ.
დაშორება ხაზებს შორის – 1.5
თითოეული აბზაცის პირველი ხაზის გამოყოფა – 7 მმ
სათაური (ფონტის ზომა 12)
ავტორები წოდების მითითებით (ფონტის ზომა 10)
ძირითადი ტექსტი (ფონტის ზომა 11)
მაქსიმუმ 5 საკვანძო სიტყვა (ფონტის ზომა 11)

რეგისტრაციისა და ნაშრომების ატვირთვის ბოლო ვადაა 2018 წლის 4 სექტემბერი, 23:59 (UTC +04:00).

რეგისტრაციის საფასური: 50 ლარი კონფერენციის ადგილობრივი მონაწილეებისთვის და 50 ევრო - უცხოელი მონაწილეებისთვის.

კონფერენციასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებგვერდზე.